საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990175610925319

№09/5547 **26 / დეკემბერი / 2019 წ.**

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტოსმ განიხილა თქვენი 2019 წლის 25 დეკემბრის N6/75832 კორესპონდენცია, რომელიც ეხება ბაღდათის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვარციხეში მდებარე 73 500 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ: 30.03.31.031) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების თაობაზე სააგენტოს პოზიციის წარდგენის საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი მოხდეს ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის პრივატიზება კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა ვინაიდან დასახელებულ მიწის ნაკვეთზე მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აუცილებელია სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვირეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმდეს ძეგლის მოვლა-პატრონობის ხელშეკრულება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ძეგლის დაზიანებისა და განადგურებისაგან დაცვა და ძეგლის ისტორიულ-კულტურული ღირებულების შენარჩუნება.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ ანთიძე